<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, არბოშიკის ქუჩისთვის რეჟისორის გურამ მელივას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, არბოშიკის ქუჩას მიენიჭოს რეჟისორის გურამ მელივას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე



წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი
ბოჭორმას ქუჩა
ბოდბეს ქუჩა
მეჯვრისხევის ქუჩა
ხამასი არაგველის III შესახვევი
არბოშიკის ქუჩა
ხამასი არაგველის ქუჩა
გლახო ზაზარიევის ქუჩა
01.17.01.135.002
01.17.01.135.009
01.17.01.135.010
01.17.01.135.006
01.17.01.135.001
01.17.01.135.007
01.17.01.133.005
01.17.01.133.002
01.17.01.133.001
01.17.01.134.005
01.17.01.134.011
01.17.01.134.028
01.17.01.134.023
01.17.01.134.025
01.17.01.134.012
01.17.01.134.052
01.17.01.139.012
01.17.01.139.030
01.17.01.139.005
01.17.01.139.014
01.17.01.139.013
01.17.01.139.025
01.17.01.136.026
01.17.01.136.012
01.17.01.136.031
01.17.01.136.013
01.17.01.136.033
01.17.01.137.008
01.17.01.136.018
01.17.01.126.027
01.17.01.138.025
01.17.01.138.061
01.17.01.138.035
01.17.13.043.029
01.17.13.043.026
01.17.13.043.024
01.17.13.043.025
01.17.13.043.028
01.00.324
01.01.834
01.00.287
43/2
47-49/8
16/5
4/5
41/6
1:809
გეოგრაფიული (გრძედი,გა

თბილისის
ოპერისა და ბალეტის
სახელმწიფო თეატრი
TBILISI OPERA AND BALLET STATE THEATRE

ქალაქ თბილისისი სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას

მოგმართავთ თხოვნით, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტის, ღირსების ორდენის კავალერისა და "ხელოვნების ქურუმის" წოდების მფლობელის გურამ მელივას სახელი.

გურამ მელივა 1933 წელს დაიბადა თბილისში. 1957 წლიდან მისი საქმიანობა დაკავშირებულია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრთან. 1965-1975 წლებში გურამ მელივა თეატრის დამდგმელი რეჟისორი გახლდათ, 1982-2002 წლებში თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე, ხოლო 2003-2004 წლებში – თეატრის სამხატვრო კოლეგიის თავმჯდომარე. 2005 წლიდან გარდაცვალებამდე იგი კვლავ თეატრის რეჟისორის თანამდებობას იკავებდა.

გურამ მელივას საქართველოში და საზღვარგარეთ დადგმული აქვს 100-ზე მეტი საოპერო სპექტაკლი და მუსიკალური სანახაობა. თბილისში განხორციელებულ დადგმებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: დონიცეტის "დონ პასკუალე" და "სიყვარულის ნექტარი", ვერდის "მაკბეტი", "დონ კარლოსი", შტრაუსის "სალომეა", გლინკას "რუსლან და ლუდმილა", ჩაიკოვსკის "პიკის ქალი" და ზაქარია ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერი". მნიშვნელოვანია, რომ ამ დიდებული ქართული ოპერის საზღვარგარეთ, პოლონეთის უდიდესი საოპერო ტრადიციების მქონე ლოძის თეატრში დადგმა, სწორედ გურამ მელივას სახელს უკავშირდება.

მის შემოქმედებაში ასევე გამორჩეულ ადგილს იკავებს ისეთი დადგმები, როგორებიცაა ყანჩელის "ხანუმა" (სოფია), პუჩინის "მადამ ბატერფლაი" (მალტა), მუსორგსკის "სოროჩინის ბაზრობა" (კრაკოვი), "შეჰერეზადა" (სანტ-ანდერი), პროკოფიევის "ნიშნობა მონასტერში" (ლოძი-თბილისი - დუისბურგი - გელზენკირხენი), მანინის "კოლუმბიდან ბროდვეიმდე" (თბილისი-კახარესი-რომი), თაქთაქიშვილის "პირველი სიყვარული" (თბილისი, კიევი), ყანჩელის "დემონი", შნიტკეს "კონექსიონი" (თბილისი-მონპელიე), და სხვ.

გურამ მელივა საკუთარი სპექტაკლებისთვის წერდა ლიბრეტოებს და ქმნიდა სცენოგრაფიას. ის აქტიურად მონაწილეობდა, როგორც მუსიკოსთა ახალი თაობის აღზრდაში – კონსერვატორიაში, ისე საზოგადოებრივ აქტივობებში, რომელიც კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. მან შექმნა საავტორო საოპერო განათლების ციკლი მოზარდებისთვის.

გურამ მელივა გახლდათ ფართო ერუდიციის მქონე პროფესიონალი, რომელიც უანგაროდ ემსახურებოდა ხელოვნებას და საკუთარ სამშობლოს. იგი დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

პატივისცემით,

ბადრი მაისურაძე

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0323020151**
თარიღი: **20/01/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ბადრი მაისურაძის 2021 წლის 29 აპრილის საქმე #10/0321119135-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩას მიენიჭოს რეჟისორის გურამ მელივას სახელი.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ არბოშიკის ქუჩის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში გურამ მელივას სახელობის ქუჩა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გურამ მელივა

(1933-2014)

რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, „ხელოვნების ქურუმის“ წოდების მფლობელი.

დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია 1958 წელს. 1962 წელს გაიარა სტაჟირება ლენინგრადის კონსერვატორიაში საოპერო რეჟისურის ფაკულტეტზე, 1967 წელს სტაჟირება ბერლინის “კომიშე ოპერა”, ხელმძღვანელი ფელზენშტაინი; თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მოღვაწეობა გურამ მელივამ 1957 წლიდან დაუკავშირა; 1965-1975 წლებში ამ თეატრის დამდგმელი რეჟისორი იყო, 1982-2002 წლებში - თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე, 2003-2004 წლებში - თეატრის სამხატვრო კოლეგიის თავმჯდომარე, 2005 წლიდან კი კვლავ თეატრის რეჟისორის თანამდებობას დაუბრუნდა.

1975-1983 წლებში გურამ მელივას ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი რეჟისორის თანამდებობა ეკავა.

მას დადგმული აქვს 100-ზე მეტი საოპერო სპექტაკლი და მუსიკალურ სანახაობა საქართველოში და მის ფარგლებს მიღმა.

ქართული რეპერტუარი, ოპერები: რ. გაბიჩვაძე “ნანა”, მ. დავითაშვილი “ქაჯანა”, ა. შავერზაშვილი “ახალი ნაპირისკენ”, ა. ფალიაშვილი “აბესალომ და ეთერი“, ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო დადგმა, ი. ბობოხიძე “ბურატინო”, ოპერა-ბალეტი, ო. თაქთაქიშვილი “მუსუსი“, “პირველი სიყვარული”, ვ. დოლიძე “ქეთო და კოტე”, ბალეტები: ვ. კახიძე “ამორძალები“, ს. ნასიძე “ფიროსმანი“; მუსიკალური კომედიები, ოპერეტები, მიუზიკლები: შ. მილორავა

“პაემანი ცაში“, “ჩანჩურა“, “ძუნწი”, “მარშალ დეფანტიეს ბრილიანტები“, გ. ცაბაძე “მირანდოლინა“, ს. ცინცაძე “შვეიკი, შვეიკი, შვეიკი“ და სხვა.

იყო საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.